ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - **ვლადიმერ კურტანიძე**

თანამდებობის დასახელება - **ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე**

ფრაქციის დასახელება - უფრაქციო

კომისი(ებ)ის დასახელება

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) - N37.07 ქალაქ ახალციხის მაჟორიტარული ოლქი

საანგარიშო პერიოდი - 01.01.2024 წ. - დან 01.10.2024 წ. - მდე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა 01.01.2024 წ.- დან 01.10.2024 წ. - მდე

საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 10;

საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 10.

სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 2024 წელს:

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა - 6, ესწრებოდა - 6 სხდომას.

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა - 1, ესწრებოდა - 1 სხდომას.

მ/შ დროებითი კომისიები:

- ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისია, საანგარიშო პერიოდი - 01.01.2024 წ. – 01.10.2024 წ. - კომისიის სხდომების რაოდენობა - 77, ესწრებოდა - 76 სხდომას.

უმრავლესობის სხდომებზე დასწრება

სულ უმრავლესობის სხდომების რაოდენობა - 3, სხდომებზე დასწრება - 3.

ვახორციელებ მოქმედი კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვას; საკრებულოს სხდომაზე, ბიუროსა და კომისიის სხდომებზე, განსახილველად წარვადგენ კომისიაში შემუშავებულ და შემოსულ პროექტებს.

მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილებები;
- განკარგულება Nგ-13.1323359001 ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ;
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება;
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს" ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის ახალციხის მერის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება;
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროგრამების ფარგლებში ფულადი საჩუქრის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება;
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება;
- განკარგულება Nგ-13.13240304 ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წელს, ქალაქ ახალციხეში სპორტული სკოლის ნაწილის დემონტაჟისა და მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოების (მრავალწლიანი შესყიდვა) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

- განკარგულება №-13.13240583 ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ;
- ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება;
- განკარგულება №-13.1324058001 საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ;
- განკარგულება №-13.1324121001 ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში ცვლილების შეტანის შესახებ;
- ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტობუსით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის შეღავათების დადგენის, მარშრუტის და ტარიფის დამტკიცებისა და მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზების შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება;
- განკარგულება №-13.1324151001 ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმისა და საშუალოვადიანი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ;
- განკარგულება №-13.13242123 ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების მიმოხილვისა და შეფასების შესახებ;
- განკარგულება №-13.13242124 ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ანდრიაწმინდაში მდებარე სახელწოდების არმქონე ქუჩებისთვის სახელის მინიჭების თაობაზე;
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მოძრაობის მარშრუტების, მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება;

- განკარგულება №-13.1324243001 ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ.

მოსახლეობასთან შეხვედრები ხორციელდება სისტემატიურად, როგორც სამუშაო ადგილზე - ყოველდღიურად, ისე გასვლით შეხვედრებზე.

მოქალაქეებთან ინდივიდუალური შეხვედრების რაოდენობა - 85;

მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 7;

შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 260 მოქალაქე.

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

სოფელ წნისში:

- შიდა, საუბნო, გზების შეკეთება-მოწყობა;
- შიდა ქუჩებზე გარე განათების მოწყობა;
- მტკვარზე გადასასვლელი ხიდის რეაბილიტაცია;
- სასმელი წყლის პრობლემა;
- სარწყავი სატუმბი სადგურის პრობლემის მოგვარება;
- ამბულატორიული დაწესებულების უზრუნველყოფა და კეთილმოწყობა.

სოფელ კლდეში:

- შიდა, საუბნო, გზების შეკეთება-მოწყობა;
- სასმელი წყლის სათავე ნაგებობისა და გამანაწილებლის მოწყობა;
- გარე განათებისა და ლამპიონების მოწყობა;
- სპორტული მოედნისა და ტრენაჟორების მოწყობა.

მოქალაქეების მხრიდან დასმული პრობლემური საკითხები, მიტანილ იქნა შესაბამის სამსახურებთან. დაიგეგმა 2025 წლისთვის სოფელ კლდესა და სოფელ წნისში შიდა გზების მოწყობა-მოწესრიგება; სოფელ წნისში ასევე დაგეგმილია მტკვარზე გადასასვლელი ხიდის რეაბილიტაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან, მასმედიასთან, ტრენინგებში, შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა:

- 5 თებერვალს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში'' დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაზე დასწრება სოფელ გიორგიწმინდაში, ფერსაში, მუგარეთში, კლდესა და წნისში;
- 20 თებერვალს მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე დასწრება;
- სოფელ კლდის მოსახლეობასთან შეხვედრები, სოფელში არსებული საჭიროებების განხილვა, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე სოციალური მიმართულებით და მათი გადაჭრის გზებზე მსჯელობა;
- სოფელ წნისის მოსახლეობასთან შეხვედრები, სოფელში არსებული საჭიროებების განხილვა, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე სოციალური მიმართულებით და მათი გადაჭრის გზებზე მსჯელობა;
- 9 აპრილს ქალაქის ცენტრალურ პარკში, 9 აპრილის მემორიალის გვირგვინებით შემკობისა და გარდაცვლილთა ხსოვნაზე პატივის მიგების ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება;
- 17 მაისს ახალციხეში ოჯახის სიწმინდის დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე დასწრება;
- 26 მაისს ახალციხეში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე დასწრება;
- 30 ივნისს წმინდა შალვა ახალციხელის ხსენების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე დასწრება;
- 8 აგვისტოს ახალციხეში 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირების გახსენების ღონისძიებაზე დასწრება.

შევსების თარიღი: 10.10.2024 წ.

წარდგენის თარიღი ---30.10.2024---

ხელის მოწერა ---[signature]---